შაბათი, 8 თებერვალი 1905 წ.

წელიწადი 1877—1905 ოც-და-მეცხრე

სამშაბათი, 8 თებერვალი 1905 წ.

ივერია

№ 18 ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 18

გაზეთის ფასი:

12 თვით . .	10 მ.	— კ.
11 „ . .	9 „	50 „
10 „ . .	8 „	75 „
9 „ . .	8 „	— „
8 „ . .	7 „	25 „
7 „ . .	6 „	50 „
6 „ . .	6 „	— „
5 „ . .	5 „	50 „
4 „ . .	4 „	75 „
3 „ . .	3 „	50 „
2 „ . .	2 „	75 „
1 „ . .	1 „	50 „

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და ძარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვ ს 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

[illegible]

ღევანდელ ნომერთან ერთად 1904 წლის ტფილისის გარეშე ხელის მწერთ, ვისაც გაზეთის წლიური ფასი 10 მან. შემოტანილი ჰქონდათ 1-ლ თებერვლამდე 1904 წლისა, ურიგდებათ «ივერიის» პრემია.

„ა ღ დ გ ო მ ა“.

რომანი ნ. ტოლსტოისა

საც ამ 1905 წელს არა აქვს გაწერილი გაზეთი, იმათ ეს პრემია გაეგზავნებათ ცალკე ფოსტის მარკებით.

ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო

გაზეთი „ივერია“

ანახლებულის რედაქციით ჯერ-ჯერობით ვერ
ამოდის. გაზეთი კიდევ რამდენისამე დღის გან-
ავლობაში ძველის რედაქციითა და წინანდე-
ლის ზომისა უნდა გამოვიდეს.

ახალი განცხადება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ფასი 10 მანეთი ერთის წლით.

„ივერია“

ცალკე ნომერი 3 კაპეიკი

წელიწადი ოცდა-მეცხრე

გამოვა ყოველ დღე, ორშაბათობითაც

განახლებულის რედაქციით და ახალ თანამშრომელთა მონაწილეობით

გაზეთის ფორმატი გადიდებული იქნება

ამასთან წლიური ხელის მომწერლები მიიღებენ წლის განმავლობაში

პრემიად 12 წიგნს

შემდეგის საერთო სათაურით: „ივერიის ბიბლიოთეკა“. ამ წიგნებში მოთავსებული: იქნება: ბელლეტრისტიული, პუბლიცისტიური, ეკონომიური და ისტორიული წერილები, უმთავრესად საქართველოს ცხოვრების შესახებ, აგრეთვე ოჯახში გამოსადეგი ცნობები დარიგებანი და სხვანი..

როგორც თვით გაზეთში, ისე საპრემიო წიგნებშიაც იქნება ხოლმე **სურათები** და სხვა-და-სხვა **ილიუსტრაციები.**

გაზეთის წლიური ფასი რჩება იგივე, რომლის გადახდაც შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც: წლის დამდეგს 4 მან., 1 მაისს 3 მან. და 1 აგვისტოს 3 მან.; ვინც ნახევარ წლით ან თვიურად გამოიწერს, უნდა შემოიტანოს თვეში თითო მანეთი.

სახალხო სკოლების მასწავლებლებს, თვით სკოლებსა და სახალხო სამკითხველოებს გაზეთი პრემიებითურთ დაეთმობათ 7 მან. ან ნახევარის წლით 4 მან., ამ შეღავათიან ხელის მომწერთაც შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ ხვედრი ფული: ყოველთვე თითო მანეთი, ვიდრე სრული შემოსატანი შესრულდებოდეს.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, редакція „Иверія“

პირველი

კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. ყ. ჩიქოვანი —9 საათიდგან 10 საათამდე ალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფო- ისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანი-, და ვენერიულ ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ. ყელისა ურისა და ცხვირის სატკივრისა.

გ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ, შინაგანის ა ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

გ. სოლოლაშვილი—9—11 საათამდე. კბილების ავადმყოფობანი.

ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—1½—2 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

გ. ა. თარხანოვი—7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

პ. ა. არდაზიანი—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას 5—7 საათ.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახელში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана.** Тифлисъ, противъ памятн. Воронпову. წლ.

წარმოდგენა № 16 ტელეფონი № 63
აბონემ. რიცხვში.

სახაზინო თეატრი.

ხუთშაბათს, 10 თებერვალს 1905 წ.

➳ **ბენეფისი ტასო აბაშიძისა** ⟵

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ახალი პიესა

პეპელათა ბრძოლა

კომედ. 4 მოქ., თხზ. ზუდერმანისა. თარგ. ვ. შალიკაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. ჩხეიძე! ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, მესხი, სვიმონიძე, შათირიშვილი, შალიკაშვილი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მორიგე რეჟისორი **ვ. აბაშიძე.**

ტფილისის სახაზინო თეატრი

ანტრეპრიზა საიპ. თეატ. არტ. ლ. დ. დონსკოისა.

სამშაბათს, 8 თებერვალს, მე-15 წარმოდგენა „გალა“. წარმოდგენილი იქნება

M-lle ნიტუში,

კომიკური ოპ. 4 მოქმ., მუსიკა გერვესი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი დონსკაია-ეიხენვალდი, დიმიტრიევა-პოსაკოვსკისა, გორსკაია; ბ-ნნი პოლუიანოვი, გალეცკი, დემიანენკო, პორუბინოვსკი, ზალიპსკი და მურატოვი. კაპელმეისტერი მიკლაშევსკი. უფროსი რეჟისორი გეცევიჩი. დასაწყისი 8 საათზედ. ოთხშაბათს, 9 თებერვალს, ბენეფისი ქ-ნ ე. ა. ორელისა. ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება **„მანონი“**, ოპ. 4 მოქმ., მუსიკა მასსენესი. ხუთშაბათს, 10 თებერვალს, ქართული წარმოდგენაა. ქ-ნ ტასო აბაშიძის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება **„პეპელათა ბრძოლა“**, დრამა 4 მოქმ. ზუდერმანისა, თარგ. შალიკაშვილისა. ბილეთები იყიდება. გამგე ი. კელლერი.

ომის ამბები

სანდეპუს ბრძოლის შედეგი. სანდეპუს ბრძოლაში რუსების დამარცხებამ რუსეთსა და საზღვარ გარედ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ყველა კითხულობდა, რათ დამარცხდნენ რუსები. ეხლა ხომ რუსები იაპონელებზე მეტნი იყვნენ და დიდი იმედიცა ჰქონდათ, რომ ეხლა კი გამარჯვება უეჭველად ჩვენი იქნებაო? სანდეპუს დამარცხების მიზეზი უმთავრესად ის იყო, რომ რაღაც გაუგებარისა და საკვირველის მოსაზრებით გენ. გრიპენბერგს გენერლებმა კაულბარსმა და ლინევიჩმა დროზე არ უშველეს და თავის მხრივ ხელიც არ გაანძრიეს. ამის გამო იაპონელებმა პორტ არტურიდან მომავალი გენ. ნოკის ჯარი გენ. გრიპენბერგის წინააღმდეგ გაჰგზავნეს, ამ ჯარს გენ. ოკუს ჯარის რაზმებიც მიაშველეს და რუსები ძალზე დაამარცხეს. მაგრამ მარტო ეს არ იყო რუსების დამარცხების მიზეზი: ჯერ ერთი, სოფელ სანდეპუში ძლიერ გამაგრებული სანგარი რუსებისათვის მოულოდნელი სიურპრიზი იყო. ამას იტყობინება გენ. სახაროვი, რომლის მოხსენებიდანაც სჩანს, რომ ეს სანგარი სანდეპუში ამ სოფლის ნახევრის აღების შემდეგ გაჩნდა, და ერთის რაზმის უფროსი, რომელმაც 13 იანვარს დეპეშა გამოჰგზავნა, რომ მთელი სანდეპუ აიღეთო. მაშასადამე, 13 იანვრამდე მომხდარ დაზვერით რუსებმა თითქმის ვერაფერი შეიტყეს. მეორე—რუსებმა სანდეპუს ზარბაზანი არ დაუშინეს, სანგრები არ დაანგრიეს, იაპონელთა ზარბაზნები არ ჩააჩუმეს და მისი აღება მხოლოდ ხიშტებით უნდოდათ. გენერალ გრიპენბერგს იაპონელებზედ გაცილებით მეტი ჯარი ჰყავნდა. (იაპონელებს—5 დივიზია, რუსებს—7), მაგრამ ყველაზე უფრო საჭირო ალაგას, ხეიგოუტაის აღების დროს, იაპონელებმა რუსებზე უფრო მეტი ძალა მოიკრიბეს, რუსების შუბლზე იერიში მიიტანეს და გენ. გრიპენბერგის ჯარი შუაზე გასწყვიტეს. გარდა ამისა, როგორც მარშალი ოიამა იუწყებოდა, რუსებმა საქმე ბოლომდე არ მიიყვანეს და მთელი თავისი ჯარი ბრძოლაში არ ჩარიეს. ამის გამო გენერალ კუროპატკინის მეშვიდე იერიში (სატევი ომი) რუსეთის ჯარს უფრო ძვირად დაუჯდა, ვიდრე ერთ დროს განთქმული „მესამე პლევნა“ (1877 წ. 30—31 აგვისტო). მთავარ შტაბის ცნობებიდანა სჩანს, რომ ამ ბრძოლის დროს რუსებს დაუჭრეს და მოუკლეს 390 აფიცერი (მათ შორის 6 გენერალი), აქედან მოკლულია 48 და ბრძოლის ველზე დარჩა 23 კაცი; ჯარის კაცი მოგვიკლეს და დაგვიჭრეს 13,800 (ნამდვილად გაცილებით მეტი უნდა იყოს). „მესამე პლევნის“ დროს მარტო რუსებს (რუმინელთა გარდა) დაუჭრეს და მოუკლეს 325 აფიცერი და 13,200 ჯარის კაცი. სანდეპუსთან მომხდარ ბრძოლას დიდი შედეგი მოჰყვა. ჯერ ერთი—დიდი ცვლილება მოჰხდა მანჯურიის ჯარის სარდლებში: გენერალი გრიპენბერგი, მეორე არმიის უფროსი, რომელიც თავის ჯარს მხოლოდ სამ თვეს უფროსობდა, სამსახურიდან გადადგა და იმის ალაგას მესამე არმიის უფროსი გენერალი კაულბარსი დაინიშნა. ხმა დადის, კაულბარსის ალაგას დაინიშნა გენერალი გროდეკოვი, რომელიც 1900 წელს მანჯურიაში რუსეთის ჯარის სარდლად იყო. მეორე—იაპონელებმა თვითონ მიიტანეს იერიში უკან წამოსულ გრიპენბერგის ჯარზე და ჩანტანხენანამდე (მდ. ხუნხეს ნაპირზეა, ხეიგოუტაის ჩრდილოეთით, 8 ვერსის მანძილზე) ამოვიდნენ. სოფელ ჩანტანხენანსა და ჩანტანს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ ალაგას ხუნხეზე კარგი ფონია და სინმინტინსა და მუკდენს მიმავალი გზებიც არ იყრება. იაპონელებს რომ ჩანტანი აეღოთ, სინმინტინის გზას ხელში ჩაიგდებდნენ და კუროპატკინს საშიშ მდგომარეობაში ჩააყენებდნენ: იაპონელებს შეეძლოთ სინმინტინიდან ტელენისაკენ წასულიყვნენ და რუსის ჯარისათვის შორიდან მოევლოთ, ანაც—მარშალს ოიამას შეეძლო გენ. ნოგის ჯარი ხუნხეს მაღლა გაეგზავნა, რუსების მარჯვენა ფრთისთვის შემოევლო და მუკდენისაკენ წასულიყო. რუსების საბედნიეროდ, იაპონელებმა ჩანტანი ვერ აიღეს. გენერალმა კაულბარსმა იაპონელები შეაჩერა, მაგრამ ომის საქმე მაინც თან-და-თან მწვავდება და დღეს ან ხვალ დიდი ამბები უნდა მოჰხდეს. სამ რამიდანა, სჩანს, რომ ამ ახლო ხანში მარშალი ოიამა წინ წამოვა და რუსებზე მედგარ იერიშს მოიტანს. ჯერ ერთი, უკანასკნელ დროს იაპონელების მოწინავე რაზმებს თითქმის ყოველ დღე პატარ-პატარა იერიშები მოაქვთ, საშველად არტილერიასაც ხმარობენ და ადგილებს ზვერავენ. საინტერესო ის არის, რომ იაპონელები უფრო რუსების შუბლსა და მარცხენა ფრთეს ზვერავენ. ჩანტანთან და სანდეპუსთან მომხდარ ბრძოლებით მარშალმა ოიამამ რუსების მარჯვენა ფრთის ძალა და რაოდენობა კარგად გაიგო. დიდი მნიშვნელობა აქვს გენ. კუროპატკინის დეპეშას შესახებ იმისა, რომ იაპონელთა ცხენოსნები სადგურ ფიძიუტუნს დაეცნენ. ეს სადგური ხარბინსა და მუკდენს შუა იმყოფება (მუკდენიდან 254 ვერსით არის დაშორებული). გენ. კუროპატკინი იუწყება სადგურს 300 იაპონელი ცხენოსანი დაეცა და ხიდი გააფუჭაო. იაპონიის რაზმმა რუსებს ძალიან შორს მოუარა. ეს რაზმი, უეჭველია, სინმინტინიდან უნდა წამოსულიყო, ლიაოხეს უნდა აჰყოლოდა და ფანძიანტუნში ასულიყო. ეს რაზმი თავის ბინას 340 ვერსით დაშორდა, ე. ი. 7 დღის სავალით. უეჭველია, ამ რაზმს ზურგი უნდა გამაგრებული ჰქონდეს, თორემ ასე შორს წამოსვლას ვერ გაჰბედავდა. ან იქნება იაპონელებმა სინმინტინი აიღეს და ეხლა ტელინისაკენ მოდიან? ამ ცოტა ხანში გამოირკვევა, რომ იაპონელებმა რუსებს პასუხი გასცეს იმ თარეშისთვის, რომელიც მიშჩენკომ დეკემბერში მოახდინა. ის კია, რომ ამ თარეშს დიდი მნიშვნელობა ექნება: ჯერ ერთი, იაპონელები კარგად გაიგებენ რუსების საქმეს მუკდენის ჩრდილოეთით, და მეორე—ეს თარეში იმას მოასწავებს, რომ დღეს თუ ხვალ ოიამო წინ უნდა წამოვიდეს. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე შემდეგ ამბებს: იაპონელებმა პორტ-არტურიდან დიდი საალყე ზარბაზნები მოიტანეს და რუსეთის შუბლის პირდაპირ დასდგეს. იმავ ალაგას იაპონელებმა რკინის გზა გაიყვანეს და ერთი ამბავი აქვთ. რუსებს ორთქლმავალის სტვენა და ვაგონების თვლების რახა-რუხი ესმით. აქედანა სჩანს, რომ იაპონელები რუსების შუბლის წინააღმდეგ სდგამენ საშინელსა და უზარმაზარ 11 დიუიმიან ზარბაზნებს, სწორედ იმ ზარბაზნებს, რომლითაც პორტ-არტური ბოლო მოუღეს. თუ ეს მართალი გამოდგა, რუსებმა ან თვითონ უნდა მიიტანონ იაპონელებზე იერიში, ანაც იქაურობას თავი დაანებონ და ჩრდილოეთისაკენ გამოსწიონ. შახეზე გამეფებულ სიწყნარეს, როგორც ეტყობა, ბოლო ელება და დღეს ან ხვალ, როცა ყინვა საბოლოოდ გაივლის, შახეზე დიდი ამბები მოხდება (რ. ვ.).

მოძრავი ბრძოლა ზღვაზე. „მორნინგ პოსტ“-ი სწერს: „ტოკიოდან ადმირალის ტოგოს წასვლა იმას მოასწავებს, რომ მალე აიხდება ის ფარდა, რომლის უკანაც ეხლა დიდ საზღვაო კამპანიისათვის ემზადებიან. ორთავ მებრძოლის—რუსეთისა და იაპონიის—ფლოტის მდგომარეობა ჰგავს ბნელ ოთახში დამწყვდეულს ორ დუელისტს, რომელნიც სიბნელეში ერთმანეთს ეძებენ. იაპონელები ამბობენ, ადმირალის როჟესტვენსკის ესკადრა წყნარ ოკეანეში ნაწილ-ნაწილად წამოვაო. რუსები თავიანთ მოძრაობას ჰმალავენ, მაგრამ იაპონელები უფრო ყოჩაღად მოიქცნენ და თავიანთი ფლოტი ისე მოამზადეს და ისე გაჰგზავნ-გამოჰგზავნეს, რომ არავინ არ იცის, ამა თუ იმ ესკადრას რამდენი გემი შეადგენს და სად იმყოფება ეხლა ეს ესკადრა. მხოლოდ ის კი იცის ყველამ, რომ იაპონელთა მზვერავი გემები და უმავთულო ტელეგრაფი დაუღალავად და განუწყვეტლივ მუშაობენ. იაპონიის ადმირალებმა ზედმიწევნით იციან რუსების მოძრაობის საქმე. იმათ ყოველი საჭირო ალაგი, სრუტე და კუნძული ერთმანეთს ტელეგრაფით შეუერთეს და იაპონიიდან დაწყებული ავსტრალიამდე ტელეგრაფის ქსელი გააბეს“. (რ. ვ.).

რუსების ზარალი. „რუს. ინვ.“-ს შორეულ აღმოსავლეთიდან ატყობინებენ: ომის დასაწყისიდან 1905 წ. 1 იანვრამდე ბრძოლის ველიდან ჩრდილოეთისაკენ გაიგზავნა: 1,710 დაჭრილი და 2,308 ავადმყოფი აფიცერი და 53,890 დაჭრილი და 72,539 ავადმყოფი ჯარის კაცი, სულ—140,439 კაცი. ამავე დროს საავადმყოფოში გარდაიცვალა 45 დაჭრილი და 62 ავადმყოფი აფიცერი და 1232 დაჭრილი და 2668 ავადმყოფი ჯარის კაცი. სულ 4007 კაცი. ჯარიდან გამოირიცხა: 6474 დაჭრილი და 11,248 ავადმყოფი კაცი, სულ—17,772 კაცი. რუსეთში გაიგზავნა 559 დაჭრილი და 670 ავადმყოფი აფიცერი და 4,121 დაჭრილი და 4,079 ავადმყოფი ჯარის-კაცი, სულ—9,429 კაცი. 1 იანვარს საავადმყოფოებში იწვა 152 დაჭრილი და 634 ავადმყოფი აფიცერი და 4,953 დაჭრილი და 15,815 ავადმყოფი ჯარის-კაცი, სულ—21,554 კაცი... სულ დაიჭრა, ავად გახდა და საავადმყოფოებში გარდაიცვალა 6,140

აფიცერი და 177,060 ჯარის-კაცი, სულ —183,200. ბრძოლის ველზე უნდა მომკვდარიყო, დაახლოვებით, 36,000 კაცი და ტყვედ წაყვანილ იქმნა, 40,000 კაცი, სულ—223,200 კაცი. ამ რიცხვს პორტ-არტურში მოკლულნი და დატყვევებულნი—50,000 კაციც რომ მივუმატოთ, გამოვა, რომ ომის დაწყებიდან პირველ იანვრამდე რუსეთის ჯარს დააკლდა 273,200 კაცი. სანდეპუს ბრძოლაში რუსებს დააკლდათ 20,000-მდე კაცი დაჭრილი და მოკლული და 1 თვის განმავლობაში, დაახლოვებით, 10—15,000 კაცი ავადმყოფი. ერთის წლის ომი რუსეთს, დაახლოვებით, 310,000 კაცად დაუჯდა. (რ. ვ).

ახალი ამბავი

როგორც ბათუმიდგან გვატყობინებენ, ჯერ კიდევ არ დადიან ღამით არც სახალხო და არც საქონლის მატარებლები. ყველა სახალხო მატარებელი ჩერდება, სანამ გათენდებოდეს, სადგურიონზედ და აგრეთვე ბათუმშიაც. ყვირილიდგან დაწყებული ბათუმამდე და სამტრედიიდგან ფოთამდე ადგილ-ადგილ ლიანდაგსა და სადგურებზე ჯარი სდგას და გზას სდარაჯობს. ყოველ დღე ჯარების მოსვლა მატულობს. 5 თებერვალს ჩამოვიდა განჯის პოლკი, რომელიც შესდგება რვაას კაცისაგან. დეპოს გაფიცულ მუშათა ერთი ნაწილი დღესაც არ მუშაობს, აგრეთვე არ მუშაობენ მეისრები და ბუდკის დარაჯები. დეპოს მუშები დათხოვნილ იქმნებიან რვა თებერვლიდგან.

⁂ რადგანაც დიდ-ძალი მოსამსახურე ტეხნიკები გაიგზავნა შორეულ აღმოსავლეთში, გზათა მინისტრმა განკარგულება მოახდინა, ამიერ-კავკასიის რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებელში სწავლა დამთავრდეს დიდმარხვაში. კურს-დამთავრებულთ მოწმობანი მიეცემათ, რომ საზაფხულო პრაქტიკა არ ექნებათ.

⁂ როგორც ქუთაისიდგან გვატყობინებენ, 6 თებერვალს ახალი არტელი შესდგა ქუთაისის სადგურზე საქონლის დასატვირთ-გადმოსატვირთავად. ძველი არტელი, რომელიც 28 კაცისაგან შესდგებოდა, დაითხოვეს.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზიდგან აღმოსავლეთ ციმბირის გზაზე ამ დღეებში დროებით იგზავნება თხუთმეტი მეისრე. ამათში თერთმეტი ქართველია და ოთხი რუსი.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ შეატყობინა რუსეთის ყველა რკინის გზას, რომ ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, ვერ მივიღებთ გასაგზავნად საქონელს ყვირილა-ბათუმსა, სამტრედია-ფოთსა, რიონ-ტყიბულასა და შორაპან-სახერემდეო. შეიძლება გაიგზავნოს მხოლოდ სანოვაგე და ჩქარა წასახდენი საქონელი.

⁂ მკითხველებმა უკვე იციან, რომ 23 იანვარს ტფილისში გაფიცულმა მუშებმა მანიფესტაცია გამართეს. ოფიციალურ გაზ. „კავკაზში“ უკვე იყო მოკლედ აღნიშნული, თუ რა მოჰხდა ამ დღეს. ტფილისის სამოსამართლო პალატის ბრალმდებლის განკარგულებით, მთლად ამ საქმის გამოძიება მიენდო საგანგებო საქმეთა გამომძიებელს რიბინსკის. ადმინისტრაციამ იმ დღეს სამოცზე მეტი კაცი დააპატიმრა. ბ-მა რიბინსკიმ ოცზე მეტი დაპატიმრებული, როგორც სრულიად უდანაშაულონი, უკვე განთავისუფლა საპყრობილიდან. (ტ. ფ.).

⁂ «ცნ. ფურ.»-ს ქუთაისიდგან სწერენ: «ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. ს. დ. წერეთელი დეპეშით იუწყება პეტერბურგიდან, რომ სამინისტროს შეუწყნარებია თავად-აზნაურთა შუამდგომლობა ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში უფროს კლასების მომატების შესახებ და ნება დაურთავს დაარსდეს სასწავლებელში ჯერჯერობით მეხუთე და მეექვსე კლასი. უნდა ვიფიქროთ, რომ ეხლა მაინც არ გახდება უფროს კლასების დაარსების წინააღმდეგი კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი“.

⁂ იმავე გაზეთს იქიდგანვე სწერენ: „ქუთათურმა ფარმაცევტებმა, სხვათა შორის, შემდეგი მოთხოვნილებანი წარუდგინეს მეაფთიაქეებს თავიანთის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად: 1) შემოღებულ იქმნას აფთიაქში მოსამსახურეთა დღეში ორჯერ შეცვლა; 2) ფარმაცევტებს მიეცეთ თვეში ბინისა და სასმელ-საჭმლის ფასად 30 მანეთი; 3) აფთიაქის მოწაფეებს მიეცეთ ჯამაგირად პირველ წელს თვეში 10 მან., მეორე წელს—15 მანეთი და მესამე წელს—25 მანეთი; 4) პროვიზორის თანაშემწეებს მიეცეთ პირველ წელს თვეში 45 მანეთი, მეორე წელს—50 მანეთი და მესამეს —55 მან.; 5) აფთიაქში არ უნდა იღებდნენ შტატს გარეშე მოსამსახურეთ უჯამაგიროდ; 6) ავადმყოფობის დროს მოსამსახურეებს ერთის თვის განმავლობაში ეძლიოთ სრული ჯამაგირი და ადგილიც არ დაეკარგოთ; მოსამსახურეს დათხოვნის დროს უნდა მიეცეს ერთის თვის ჯამაგირი და ამასთან ერთის თვით ადრეც უნდა გამოეცხადოთ დათხოვნა და სხვა. ჩამოთვლილ მოთხოვნილებათა გამო სხდომა ჰქონდა ქალაქის საავტიაქო კომისიას, რომელზედაც მიწვეულნი იყვნენ კერძო მეაფთიაქენიც. კომისიამ მეაფთიაქეებთან ერთად შესაძლებლად სცნო სრულიად დაეკმაყოფილებინა ფარმაცევტების მოთხოვნილებანი, გარდა მეორე მუხლისა, სადაც ისინი თხოულობდნენ ბინისა და სასმელ-საჭმლის ფასად თვეში 30 მანეთს; ნაცვლად 30 მანეთისა, შესაძლებლად სცნეს მისცენ თვეში 25 მანეთი. ორი-სამის დღის მუშაობის შეწყვეტის შემდეგ, ფარმაცევტები ისევ დაუბრუნდნენ აფთიაქებს“.

⁂ 5 თებერვალს, ნაშუადღევს, ალექსანდრე-ნეველის ტაძარში ექსარხოსისა და ეპისკოპოსების მიერ გარდახდილ იქმნა პანაშვიდი ეხლახან მოსკოვში მოკლულის დიდის მთავრის სერგი ალექსანდრეს ძის სულის მოსახსენებლად.

⁂ „ცნ. ფურ.“-ს ბაქოდან ატყობინებენ, რომ ადგილობრივ ბულვარში სომხებსა და თათრებს დიდი შეტაკება მოსვლიათ. დაწვრილებითი ამბები ჯერ არ მოსულა.

⁂ როგორც ამავე გაზეთს სწერენ, ქუთათური ვაჭრები და ნოქრებიც შეთანხმდნენ, რადგან უკანასკნელთა მოთხოვნილებანი უკლებლივ დაკმაყოფილებულ იქმნა. სხვათა შორის, დაადგინეს, რომ საქმე დღეებში ვაჭრობა სწარმოებდეს მაღაზიებში 1 ოქტომბრიდან 1 აპრილამდე დილის 8 საათიდან საღამოს 7 საათამდე, ხოლო 1 აპრილიდან 1 ოქტომბრამდე—დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდის. კვირა-უქმე დღეებში-კი სავაჭროები მთელის დღით უნდა დაიკეტოს.

⁂ 31 იანვარს, საღამოს 9 საათზედ, როგორც „კავკ.“-ი იუწყება, სომხის ვიღაც რევოლიუციონერებს მოუკლავთ პლასტუნის ბატალიონის პოდ-ესაული გნუტოვი.

რუსეთი

ამას წინად ჩვენს გაზეთში გადმობეჭდილი იყო გაზ „ნაში დნი“-დგან ბ-ნის ლ. ფ. პანტელეევის „ღია წერილი სტატს-სეკრეტარს ა. მ. ბეზობრაზოვის მიმართ“. ბ-ნი პანტელეევი ამხილებდა სტატს-სეკრეტარს ა. მ. ბეზობრაზოვს, რომ თქვენის მეოხებით ასი-ათასობით ჩვენთა ძმათა სისხლი იღვრება მანჯურიაში უსარგებლოდ, რადგან თურმე ამ ომის დაწყების უმთავრესი მიზეზი თქვენა ყოფილხართ და პასუხს ვთხოულობთო. სტატს-სეკრეტარ ბეზოვრაზოვზედ გაზეთებს ცნობები შეუკრებია და აღმოჩენილა, რომ შარშან გაზაფხულს აქეთ თურმე ბ-ნი ბეზობრაზოვი პეტერბურგში აღარა სცხოვრობს. ჯერ ტამბოვის გუბერნიაში წასულა, თავისს მამულში, ხოლო იქიდგან შემდეგ თავისის სახლობით საზღვარ-გარედ გადასულა. («რ. ვ.»)

— ტვერიდგან გაზეთ „ნაში დნი“-ს დეპეშით ატყობინებენ, რომ ტვერის ერობას საგუბერნიო კრებაზედ დაუდგენიათ: «ახლავე აუცილებლად და დაუყოვნებლივ უნდა გაუქმებულ იქმნას 1904 წლის 8 იანვრის კანონი, რომელიც შემოღებულ იქმნა ტვერის გუბერნიისათვის». ტვერის გუბერნიის თავად-აზნაურობამ ფინლიანდიის სეიმის გახსნის თაობაზედ მოულოცა სეიმის წევრთ და ამის გამო ჰელსინგფორსიდგან შემდეგი პასუხი მოუვიდა თავად-აზნაურობას: «ის გულმხურვალე სიტყვები, რომლითაც თქვენ მიჰმართეთ ფინლიანდიის სეიმს, დიდის პატივის-ცემით იქმნა მიღებული. ჩვენ აქ ვხედავთ ახალს დამამტკიცებელს საბუთს მაღალ და კეთილ-შობილურის ხასიათისას, რომლითაც მუდამ აღჭურვილი იყო ტვერის თავად-აზნაურობა. ვიმედოვნებთ გულ-წრფელად, რომ ჩქარა, ძლიერ ჩქარა იქმნება შემოღებული დიდებული ლიბერალური რეფორმები რუსეთის საკეთილდღეოდ. იმედი გვაქვს აგრეთვე, რომ ფინლიანდიელთა და რუსთა მეგობრული ურთიერთობა მომავალში უფრო და უფრო განმტკიცდება». ფინლიანდიის ადრესი დაწერილი იყო ფრანგულად. ბოლოში ხელი უწერია 16 კაცს, ყველა წოდების წარმომადგენელს.

— ზოგიერთ ფრანგულ გაზეთებში დაიბეჭდა წერილები, რომელშიაც, როგორც მიუნხენის ოფიციოზურ გაზეთ „Alg Zeitung“-ის პარიჟელი კორესპონდენტი დეპეშით იუწყება, ამტკიცებდნენ, რომ ვითომ საფრანგეთ-რუსეთის კავშირის პირობები, დღემდე სასტიკ საიდუმლოებით მოცული, შესდგებოდა თურმე უბრალო სამხედრო კონვენციისაგან. რუსეთი მოვალე ყოფილა, კავშირის ძალით, ძლიერი ჯარი ჰყოლოდა პოლონეთის საზღვარზედ იმ შემთხვევისათვის, რომ, თუ ვინიცობაა საფრანგეთს გერმანიასთან ომი მოუხდებოდა, გერმანიის ძლიერი მხედრობა უნდა დარჩენილიყო აღმოსავლეთით. ეს კონვენცია შემდეგში არაფრით არ გაუფართოვებიათ, პირიქით, დელკასე ამას წინად დასთანხმდა, რომ რუსეთს გაეყვანა თავისი ჯარები პოლონეთის საზღვრებიდან მანჯურიის ლაშქრის გასაძლიერებლად. ამნაირად, ამჟამად აღარაფერი არ დარჩენილა საფრანგეთ-რუსეთის კავშირიდგანაო,—ბოროტის სიხარულით შეჰნიშნავს გერმანული გაზეთი. (რუს).

— გაზ. „ნაშა ჟიზნსა“ და „ნაშ დნი“-ში თითქმის ყოველ დღე იბეჭდებ „წერილები რედაქციის მიმართ“, ხელმოწერილი რამდენისამე ასის პროფესორ საგან, რომელნიც თხოულობენ უნივერსიტეტსა და სხვა უმაღლესს თუ საშუ ლო სასწავლებლებში აკადემიურ თავისუფლების შემოღებას. სხვათა შორის ხსენებულ წერილებს ხელს აწერენ შემდ გნი ქართველნი: პროფ. პ. მელიქიშვილ დამსახ. პროფ. ვასილ პეტრიაშვილ პრივატ-დოცენტი ივ. ჯავახიშვილ ორდინატორი გ. გელეიშვილი, ლაბორანტი ა. კლდიაშვილი, ლაბორანტი ი. მოსეშვილი და ლაბორანტი ალ. ნ. ჯავახიშვილი.

— 18 იანვარს ტომსკშიაც მოუხდ ნიათ მანიფესტაცია მთავრობის საწინ აღმდეგოთ. მანიფესტანტთა უმრავლეს ბა მოსწავლე ახალგაზრდობა ყოფილ ფოჩტამტის ქუჩაზედ მანიფესტანტებს აღ მართავთ რამდენიმე წითელი დროშა რ ვოლიუციონურ ზედ-წარწერებით. თანა დაუწყიათ „მარსელიეზას“ სიმღერა. პ ლიციის თხოვნაზედ—გაიფანტენითო—რევოლვერების სროლით გაუციათ პას ხი. დაუჭრიათ 6 პოლიციელი, ორ მათგანი—მძიმედ. გამოუწვევიათ ყაზა თა ნახევარ-ასეული, რომელსაც იარაღ უხმარია. მანიფესტანტებსაც უსვრია ყაზახებისათვის, მაგრამ ბოლოს ყაზახებ მაინც გაუფანტავთ მანიფესტანტები. დ უჭრიათ ბევრი, მათ შორის 23 საკმაო მძიმედ დაჭრილი აღმოჩენილა, ხოლ 1—სასიკვდილოდ. კანონისაგან დადგ ნილ წესით გამოძიება სწარმოებს. ა ცნობას აცხადებს ტომსკის გუბერნატ რის თანამშ. აღმასრულებელი ბირი კოვი. („რ. ვ.“).

— 29 იანვარს პეტერბურგის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში ლაპარაკი ჰქონ დათ იმაზედ, დავიწყოთ თუ არა მიმდ ნარე აკადემიურს წელს ინსტიტუტში მ ცადინეობაო. კრებამ დიდის უმეტესობით გადასწყვიტა, მეცადინეობა 1-სექტემბრამდე შესწყდესო.

— იურიევის პროფესორთა საბჭომ 3 ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ 6 ხმის დაადგინა, რუსეთში ეხლანდელ მეტა აწეწილ-დაწეწილ გარემოებისა გამო უნ ვერსიტეტში მეცადინეობა შესწყდეს 1-სექტემბრამდეო.

— პეტერბურგის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის მასწავლებლებმა შემდეგი გა ცხადება შეიტანეს ამავე ინსტიტუტის სა მოსწავლო კომიტეტში: „9 იანვარს პ

ფელეტონი

წარსულის და დღევანდელის ცხოვრების მოკლე მიმოხილვა.

I

წარსულის ცხოვრების შესწავლა არის დედა-ბოძი თანამედროვე ცხოვრების გათვალისწინებისა, თანამედროვე ცხოვრების გათვალისწინებით კი გავიგებთ, თუ როგორი უნდა იქნეს მომავალი ცხოვრება.

დღეს ბევრნაირი აზრია ცხოვრების გამოცნობის შესახებ: ბევრს ცხოვრება უყვარს, შეჰხარის მას იმისდა მიუხედავად, ცხოვრება უღიმის მას, თუ არა, ზოგიერთი-კი ჩავარდნილია უკიდურესს სასოწარკვეთილებაში, პესსიმიზმში, ამ ჯურის ხალხს ცხოვრება სძულს, სძაგს და კაცობრიობის მოსპობის მოტრფიალეა.

აი, მეც ცოტათი შევეხები, თუ რომელია ნამდვილი კარგი შეხედულება ამ ორ აზრს შორის: სასოწარკვეთილებაში ჩავარდნა, თუ ცხოვრების გონივრულათ შესწავლა და მის რადიკალურათ შეცვლაზე ზრუნვა.

სასოწარკვეთილების, პესსიმიზმის, მქადაგებელნი გვეუბნებიან, რომ ყველაფერი ამაოა, ყველაფერი გაფუჭებულია, კაცობრიობა ისეა მოწყობილი, რომ მისი გადაკეთება, მისი გარდაქმნა ყოვლად შეუძლებელიაო; პესსიმიზმი გვიქადაგებს უკიდურეს თეორიას იმ აზრით, რომ, რადგან საზოგადოებას, კაცობრიობას საფუძველი გახრწნილი, გათახსირებული აქვს, ამიტომ სჯობს მოისპოს იგი, აღიგავოს დედამიწის ზურგიდან და შესწყდეს ის წვალება ტანჯვა, რომელშიაც დღეს კაცობრიობა არის ჩაფლული...

სჩანს, პესსიმისტებს ყოველნაირ ხსნის იმედი დაჰკარგვიათ; იმათ აზრიდან გამოდის, რომ ხსნა არის ერთათ-ერთ მოსპობაშიო. მორჩა და გათავდა! ნუ თუ ამ შემთხვევაში შორს-მჭვრეტელობა, ცხოვრების ნამდვილი გათვალისწინება აქვთ მათ? ნუ თუ კაცობრიობას ისეთი გარყვნილი სათავე აქვს, რომ მისი რადიკალურად გარდაქმნა შეუძლებელია? ჩემის აზრით, მათი ასეთი დასკვნა ცხოვრების ფაქტების უარყოფაა!—ასეთი მათი დასკვნა უარჰყოფს ევოლიუციის, თანდათანობის განვითარების—კანონს, ასეთი დასკვნა პესსიმისტებისა ერთის ხელის გაქნევით სპობს იმ კაცობრიობას, რომელსაც რამოდენიმე ათასი და ათი ათასი წელიწადი უდაბნოში უხეტიალებია, რომ ბოლოს დროს მაინც მიეგნო აღთქმულ ქვეყნისათვის. თუმცა ჯერ-ჯერობით კაცობრიობას არ უნახავს „აღთქმული ქვეყანა“, თუმცა კაცობრიობის უმეტესობა ჯერ კიდევ სასტიკ მდგომარეობაშია, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ უკუნითი-უკუნისამდე ასე იქნება. აქ მხოლოთ უარის ყოფაა და არა ნამდვილ ცხოვრების შესწავლა.

ზევით თუმცა ვთქვი, რომ დღეს კაცობრიობის უმეტესი ნაწილი სასტიკ მდგომარეობაშია-მეთქი, მაგრამ ამ შემთხვევაში მხედველობაში მქონდა დღევანდელის საზოგადოების და მომავალ საზოგადოების ვითარება-მდგომარეობა.

თუ რამდენადაც დღევანდელი საზოგადოება პროგრესიულია წინანდელზე, ე. ი. თუ დღევანდელი კაპიტალისტური ხანა, ხანა ფულის გაბატონებისა, ყოველ მხრივ წარჩინებულად უნდა ჩაითვალოს მონობა ბატონ-ყმობის ხანებთან, აგრეთვე ასეთივე წარჩინებულათ ჩაითვლება მომავალი ხანაც დღევანდელ ხანასთან შედარებით.

⁂

მოკლედ განვიხილოთ, თუ როგორი იყო წარსული ცხოვრება.

სანამ კაცობრიობა ერთ განსაზღვრულ კალაპოტში ჩადგებოდა, სანამ კაცობრიობა ისტორიულ კედლებში ამოჰყოფდა თავს, მანამდის ყველაფერი აყოლ-ჩაყოლის კანონს ექვემდებარებოდა. ამით ის მინდა ვთქვა, რომ საჭირო იყო ბუნების სასტიკი კანონი დამუქრებოდა კაცობრიობას და პირველყოფილ ადამიანთა არსებობა მოსპობილიყო. თუმცა არც დღეს განთავისუფლებულა კაცობრიობა ბუნების მრისხანე და აუტანელ მოვლენებისაგან, მაგრამ სრული იმედია, რომ მეცნიერების განვითარებასთან ბუნების მრისხანე მოვლენებს დაიმორჩილებს ადამიანის ჭკუა-გონება და მეცნიერებით აღჭურვილი კაცობრიობა განაბნევს, გაჰფანტავს სიბნელეს და კაცობრიობას ტკბილს და ნეტარს ცხოვრებას მიანიჭებს.

რამდენადაც დრონი გადიან, იმდენად ცხოვრებას ახალი ელფერი ედება, ყველაფერი იცვლება; მომაკვდავი ჰკვდება, დასაბადავი იბადება; მკვდარს ასაფლავებენ, ახლად დაბადებულს-კი ძიძაობენ, თავს evleb —

თავს ევლებიან და უცდიან მისს დავაჟკაცებას იმ მოსაზრებით, რომ მკვდრის აღდგენა არავის ძალუძს; ამიტომ სჯობს მისს კანონიერ შვილს მოვლა არ მოვაკლოთ და, რაც შეიძლება, ხელი შევუწყოთ მისს ზრდა-განვითარებას.

მრავალ-ტანჯულ კაცობრიობას ბევრი ხანა ახსოვს; იყო ისეთი დრო, როცა კაცობრიობა ტან-შიშველი, თმა გაბურძგნილი მთა-კლდეებში დაეხეტებოდა, მინდორ-ველს დასტრიალებდა, გაუვალ ტყეღრეში ატარებდა ცხოვრებას, იქ სვამდა, იქ ჭამდა, იქვე იძინებდა; კმაყოფილდებოდა მით, რასაც ბუნება აძლევდა. მას არ აწუხებდა „ხვალინდელი დღე“ და სასოწარკვეთილება მისგან შორს იდგა. ის თავის თავს ვერ იცნობდა—ის ერთ-გვარ არა-სულიერ არსებას წარმოადგენდა, მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ ჭამა-სმა სჭიროდა მას, როგორც ორგანიულ ბუნების მქონე არსებას, დანარჩენში კი უსულო საგანს წააგავდა.

დიდი ხანი იყო საჭირო, რომ ასეთ არსებას ყურადღება მიექცია თავის-თავისათვის; დიდ გაჭირვებას, დიდს მოვლენებს უნდა გადაერბინა მის თავზე, რომ კაცობრიობას ძალა-უნებურად ყურადღება მიექცია რაიმესთვის და მართლაც, რამაც მისი პირველი ყურადღება მიიპყრო, ეს იყო ბუნების საოცარი მოვლენები. ამ ბუნების მოვლენებმა ველურ ადამიანში აამუშავა გრძნობელობითი სიმები, ველურმა ადამიანმა აღმაცერად შეჰხედა გარშემოს, ის გაოცდა, დიდის სისწრაფით ამუშავდა ველურ ადამიანის გონებითი მექანიზმი.

პირველყოფილ ადამიანთა ცხოვრებაში ექსპლოატაცია, რომელიც სხვის ნაშრომნაოფლარის წართმევისაგან წარმოდგება, არ იყო. აქ ყველა ბუნების მოცემულ საჭმელით კმაყოფილდებოდა. ყველაფერი, რასაც ბუნება აძლევდა პირველყოფილ ადამიანს, საზოგადო იყო, აქ კერძო საკუთრება რა ხილი იყო, არავინ იცოდა. აქ იყო გამეფებული საზოგადო კუთვნილება და ამიტომ ველურთა პირველ ხანას უწოდებენ პირველ-ყოფილ კომმუნიზმს.

როცა კაცობრიობა ველურობის დასაწყისს ეთხოვებოდა, ის შეჯგუფებულ რასმე არ წარმოადგენდა. აქ თვითოეული პიროვნება თავისი უფროსი იყო; აქ არ იყო უმცროს-უფროსობა. აქ იყო გამეფებული უფლებათა თანასწორობა. ველურობის დასაწყისმა არ იცის ადმინისტრატორი, არ იცის, თუ რას ნიშნავს ბრძანება და მისი დაუყონებლივ ასრულება, აქ თვითოეული იმას მოიქმედებს, რაც თითონა სურს, აქ არის ინდივიდუალიზმის უკიდურესი დაცვა, ე. ი. პ როვნება ყოველ-მხრივ თავისუფალ არავითარის ეკონომიურ და იურიდიულ ჯაჭვებით არ არის შებორკილი; მაგრ ასეთი ინდივიდუალიზმი არის აგებულ მხეცობაზე, გაუგებრობაზე და, როგორც ასეთი, უნდა მოსპობილიყო და ველუ ადამიანის თავისუფლება უნდა შეკვეც ლიყო, ველურ ადამიანს მეთვალ-ყურ უნდა გასჩენოდა, რომ მისი ცხოვრებ ასე თუ ისე, მოეწყო.

ველურ ადამიანის ცხოვრებაში იქნებ და ხოლმე ისეთი დრო, როცა მას ადგილ ბრივ მიდამოს ნაყოფი ვერ დააკმაყ ფილებდა. მაშინ ის ველურ ადამიან მეორე ჯგუფზე გაილაშქრებდა და, დასძლევდა, წაართმევდა რაც რამ ებ და. ამ ნაირ შემთხვევებისათვის საჭირო გახდა ხელმძღვანელი—ორგანიზატორ რომელიც თავისის ნიჭით, მოხერხებ შემკული უნდა ყოფილიყო, ისე მოეწყ საქმე, რომ გამარჯვება მის მხარეზე ყ ფილიყო; გარდა ამისა, ორგანიზატორ ენიჭებოდა ადმინისტრატიული და ყ ლიეე უფლება და, რასაც მოისურვებ თავის წრეში, იმას მოიქმედებდა.

აი, პირველათ აქ თავს იჩენს უფრ სობა, აქ ეძლევა დასაწყისი იმ სისტემ რასაც მთავრობას ეძახიან. აქ პირველ საძირკველი ედგმება იმ დაწესებულებ რომელიც მას შემდეგ მაგრდება და რომე ლიც საზოგადოებრივ წყობილების მ წესრიგების როლს ასრულებს.

პირველ-ყოფილი კომმუნიზმი შეიც ლა, ორგანიზატორის გაჩენამ გამოიწ ცხოვრებაში სხვანაირი მოვლენები დასაწყისი დაედო მონობას, რომელ დაც შემდეგ წერილში გვექნება საუბარ

სვ.—სკ.

ბურგში მომხდარმა შემაძრწუნებელ- ამბებმა, რომელმაც იმდენ უდანაშაუ- ხალხის სიცოცხლე იმსხვერპლა ესო- შეუბრალებლად, მეტად აღელვა ლად საზოგადოება და შეაჩერა ნორ- ური მიმდინარეობა ცხოვრებისა, თუმ- დამყაყებულ ბიუროკრატიულ რეჟი- წყალობით რუსეთში არასოდეს არა ილა საკმაოდ ნორმალური მიმდინა- ება ცხოვრებისა. ამნაირ ამბების გამო ელი პატიოსანი კაცი მოვალეა თავი- პროტესტი განაცხადოს. მით უმეტეს ნი მოვალეობაა, როგორც მოსწავლე ლგაზრდობის ხელმძღვანელთა, პრო- ტი გამოვაცხადოთ ამისთანა საშინელ ხლის ღვრის წინააღმდეგ. ხელახლად წყდა ნორმალური მიმდინარეობა ინს- ტუტის ცხოვრებისა, როგორც ეს არა თხელ განმეორებულა ამ უკანასკნელ ლებში, თუმცა ასეთ განსაკუთრებულ ზეზით-კი არა. მიზეზები უმაღლესს სას- ავლებელში მუდმივის მღელვარებისა, რედვე ერთად-ერთი გზა იმისი, რომ ლავ დავუბრუნდეთ, განვაგრძოთ სა- ნიერო მუშაობა, არამც თუ ნათლად ქვს გამორკვეული მთლად რუსეთის სა- გადოების მოაზრე ნაწილს, არამედ მაღლადაც აღიარეს როგორც საზო- დოების ჯგუფებმა, ისე კიევისა და პე- რბურგის პოლიტეხნიკურ და მოსკო- ს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთა ესორებმა. ეს მიზეზები აკადემიის გარე- მდებარეობს, ის იმალება რუსის სა- გადოების არა-ნორმალურ ვითარებაში ამ ხელფეხ-შემბორკველ გარემოებათა ვიდგან მოცილება შეიძლება მხოლოდ საფუძვლის კანონიერების დამყარებითა და თან განუყრელის პოლიტიკურ თავი- ფლების მინიჭებით რუსეთის ხალხისა- ის, ხოლო ეს-კი მაშინაა შესაძლებე- , თუ მთელის ხალხის მიერ თავისუფ- ად ამორჩეულნი წარმომადგენელნი მიი- ებენ მონაწილეობას ქვეყნის მართვა- მგეობისა და კანონმდებელ მთავრობის ჩევნებში, აგრეთვე თუ ხალხის კონტ- ოლს დაუმორჩილდება ადმინისტრაციის ოქმედება. ყურადღებას ვაქცევთ-რა ყვე- ლა აქ თქმულს, ჩვენ, პეტერბურგის ტეხ- ოლოგიურ ინსტიტუტის მასწავლებელ- ნი, ვიმედოვნებთ, რომ სამოსწავლო კო- იტეტი გამოსთქვამს თავისს შეხედულე- ბას უმაღლესს სასწავლებლებში ეხლან- დელ მდგომარეობაზედ და ამის შესაფე- რად დაასაბუთებს თვის გარდაწყვეტილე- ბას, 10 იანვარს მომხდარს კრებაზედ დადგენილს ინსტიტუტში სწავლის შეჩერე- ბის შესახებ“. ეს განცხადება ხსენებულ ნსტიტუტის სამოსწავლო კომიტეტმა, მისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო“, არ განიხილა. („ნ. დნი“).

ნარკვევი

„ნ. დ.“ 31 იანვრის ნომერში ვკითხულობთ:

„ყოველთვის ვიყავი მოსარჩლე კანონიერებისა და ყველაფერს, რაც კი კანონიერების საზღვართა შორის არის მოთავსებული, აღვუთქვამ ჩემს თანაგრძნობასა და დახმარებას“, —ეს სიტყვები უთხრა შინაგან საქმეთა ახალმა მინისტრმა ბულიგინმა მოსკოვის თავად-აზნაურთა დეპუტაციას 25 იანვარს მოსკოვში.

ცხადია, კანონიერობა აუცილებლად საჭიროა, უამისოდ მოქალაქეს ვერ ექმნება გული დამშვიდებული, რომ მისი სიცოცხლე და ქონება უშიშარი იქნება.

მაგრამ საკითხი ის არის, რა შინაარსია მოთავსებული კანონიერების საზღვართა შორის? კანონად და წესად იყო ოდესმე მონობა, როდესაც მონათ-მფლობელის ხელში იყო სიკვდილი და სიცოცხლე მონისა, კანონად და წესად იყო, დიდი ხანი არ არის მას აქეთ, ჩვენში ბატონ-ყმობა...

კანონად და წესად არის ახლა განუსაზღვრელი უფლებანი ადმინისტრაციისა „არა კეთილ-საიმედო“ კაცთა მიმართ, მისი უფლება არ დაამტკიცოს „არა-კეთილ-საიმედო“ კაცი საზოგადოებისაგან არჩეულ საზოგადო სამსახურზე, გასჩხრიკოს ცარიელი ეჭვის მიტანით, დაატუსაღოს, გადაასახლოს „არა-კეთილ-საიმედო კაცი“. კანონად და წესად არის უფლება „ზემსკი ნაჩალნიკებისა“ (საერობო უფროსებისა), სასოფლო სამმართველოების მოხელეების დატუსაღებისა და დაჯარიმებისა თავის ნებითა და სურვილით, უმსჯავროდ, განუკითხავად (უწინდელი 61 მუხლი, ახლანდელი 57); კანონად და წესად არის უფლება უფროსებისა დაითხოვონ სახელმწიფო სამსახურიდან თავისნი ხელქვეითნი ეგრედ-წოდებულ „მესამე პუნქტით“, მათ უთხოვნელად და უკითხავად (მუხლი 788, მუხლი 838); კანონად და წესად არის უფლება კავკასიის მთავარ-მართებლისა არ მისცეს ნება ამიერ-კავკასიის სოფლის საზოგადოებას ამოარჩიოს ერთი მამასახლისი და ყველა მოხელენი სასოფლო სამმართველოსი, არა-კეთილ-საიმედო საქციელისა და მოქმედებისათვის (კანონი 9 ივნისისა 1887 წლისა). კანონად და წესად არის უფლება შინაგან საქმეთა მინისტრისა აკრძალოს პრესსას გამოთქვას ან განიხილოს რომელიმე სახელმწიფო საკითხი (მუხლი 240)“.

გაზეთის აზრით, მინისტრთა კომიტეტისაგან ნაჩვენებ გზას არ შეუძლიან გადასწყვიტოს საკითხი სახელმწიფო რეფორმათა განხორციელებისა.

⁂

იმავე გაზეთის № 25-ში ვკითხულობთ:

საზოგადოდ ჩვენის გუბერნიის უფროსებს არა აქვთ არც ცოდნა, არც არავითარი მომზადება და სრულიად არა გაეგებათრა თავის მოვალეობისა... გუბერნატორის ძლევამოსილებისაგან, ასე გასინჯეთ, უმაღლესი მთავრობაც კი ვერ დაგვიფარავს. გაიხსენეთ პირველი დღეები თავად მირსკის სამინისტროსი. გაიხსენეთ, რომ გუბერნატორები თავისის ნებით აჩერებდენ მისადოც დეპეშებს, იმათ პირდაპირ უფროსის სახელზე გასაგზავნს. გაიხსენეთ, რა ნებას აძლევდნენ თავს და როგორ ეურჩებოდნენ მინისტრის სიტყვებს. და არც შეიძლება იყოს სხვაგვარად, სანამ ახლანდელი სისტემა სუფევს. გუბერნატორი თავისს გუბერნიაში განუსაზღვრელის უფლებით აღჭურვილი მთავრია. საზოგადოება აზროვნობს, სცოცხლობს, გუბერნატორს ნება უნდა ჰქონდეს გასჭყლიტოს ეს სიცოცხლე. გაზეთებს რუსეთის ბედნიერებისათვის სურთ რეფორმები, გუბერნატორს ნება უნდა ჰქონდეს, ყველანი ჩააჩუმოს. გუბერნატორი მართალი უნდა იყოს მაშინაც კი, როდესაც კანონს თელავს“.

⁂

გაზეთ „ნ. ქ.“-ში დაბეჭდილია კოსტრომის საერობო საგუბერნიო კრებაზე ხმოსნის საფონოვის მიერ წარმოთქმული სიტყვა. საფონოვმა სთქვა:

„დადგა დრო, როდესაც უნდა ამაღლდეს ხმა ერობისა, დადგა წამი, როდესაც მთელი ჩვენი ყურადღება უნდა მივაქციოთ მიმდინარე ცხოვრების მოვლენებს. მეტსაც ვიტყვი: ჩვენ არ შეგვიძლიან და ნებაც არა გვაქვს შევუდგეთ ჩვეულებრივ საქმეებს, სანამ არ მივიღებთ ამა თუ იმ დადგენილებას ამ დროის მეტად მწვავე საკითხზედ. საზოგადო ცხოვრების მაჯის ცემა იქამდის გაძლიერდა, სხვა და სხვა ამბები ისეთის სისწრაფით მოსდევს ერთი მეორეს, რომ ამას წინასწარმეტყველობა არ უნდა, თუ ვიტყვით, რომ რუსეთს მოელის უდიდესი უბედურება, რომლის დასაწყისიც უკვე მოჰხდა სატახტო ქალაქში.

კოსტრომის საერობო მატიანეში ვერ ნახავთ ვერც ერთს წუთს, რომ ერობას ცხოვრებისთვის ზურგი შექცეოდეს და თვალები დაეხუჭოს, ის ყოველთვის წინ უსწრებოდა მის მოთხოვნილებებს და უკაფავდა ახალ გზებს, ახალ გზა-ტკეცილებს. და ჩვენ ჩვენის სამშობლოს ულირსნი შვილნი ვიქნებოდით, თუ გულ-გრილად მივეგებებოდით დღევანდელ ამბებს. აქამდის რუსეთში არ არის არც ერთი დაწესებულება, არც სხვა ორგანიზაცია, რომელიც უნდა იყოს ხალხის გაჭირვების გამომსახველი. ეხლა, ამ წუთში, ერობა ერთად-ერთი ორგანოა, რომელსაც კანონი ნებას აძლევს გამოარკვიოს და გამოჰხატოს მომწიფებული მოთხოვნილებანი. რუსეთის ცხოვრების ამბების მიმდინარეობა გვაკისრებს ისეთ დიდ მოვალეობას და ისეთ მაღალ საფეხურზედ აყენებს ერობას, სადამდისაც მთელის რუსეთის ისტორიაში ერობა ჯერ არ ასულა. ჩვენ ეხლა მარტო ჩვენის ამომრჩევლების წარმომადგენლები-კი არა ვართ, არამედ მთელის საერობო მოხარკებისა და, მაშასადამე, მთელის რუსეთის ხალხისაც. აი, ამიტომ დღევანდელ ამბებს ჩვენ უნდა მოვეპყრათ განსაკუთრებულის ყურადღებით, უნდა მოვძებნოთ, რაც შეიძლება, მეტის დაკვირვებით იმ ღონისძიებებს, რომელმაც უნდა განკურნოს ავადმყოფი სხეული. დეე, ჩვენნი მოქმედებანი იყვნენ გადაჭარბებული, დეე, დაარქვან მას, ვისაც რა უნდა, დეე, ამას მოჰყვეს ადმინისტრატიული დასჯაც, ჩვენ მაინც ხმა უნდა ამოვიღოთ, მაინც მართალი უნდა ვსთქვათ, რაც გინდა სასტიკი იყოს იგი, უნდა გამოვახატოთ მთლად ის იარა, რომელიც ჰღრღნის ჩვენს სამშობლოს, უნდა ვუჩვენოთ ის მოკლე და ნაყოფიერი გზა, რომელიც გამოიყვანს მას უკიდურეს მდგომარეობიდგან და დაიხსნის პოლიტიკურ სიკვდილისგან. ვსთქვათ ეს არა როგორც მტერმა და მოღალატემ, არა როგორც ბოროტ-განმზრახველმა გუნდმა, არამედ როგორც წრფელმა მეგობარმა, როგორც გულით დატანჯულმა, დაავადმყოფებულმა მამულის შვილმა.

ჩვენ ვიაროთ იმ გზით, რა გზითაც დადიოდა დიდი ხანია ერობა, პირდაპირ ვამცნოთ მთავრობას მომწიფებული მოთხოვნილებანი. ამით ჩვენ შევასრულებთ უწმინდესს მოვალეობას მამულის წინაშე და წინაშე ჩვენისაც.

რამ მიგვიყვანა ჩვენ იმ უკიდურეს მდგომარეობამდე, რომ იძულებულნი ვართ გამოვიდეთ ჩვენის მოქმედების სფეროდგან? განა ჩვენ გავხდით ჩვენის მამულის მტერნი, რომ ჩვენ მოგვყავნეს ზარბაზნები? არა, ჯერ კიდევ ჩვენი—რუსეთის—სახელმწიფოს აკვნიდგან, იმ დროიდგან, როდესაც პირველად აირჩიეს რუსის მთავარნი, ჩვენც გვქონდა ღრმა რწმენა ჩვენის სარდლებისა. მხოლოდ ხალხის ძალის თვითცნობიერების განვითარებამ ამ არეულ-დარეულობის დროს, რუსეთისთვის მძიმე დროს, სწორე ისტორიულ გზაზედ დაგვაყენა. და განა ეხლა ჩვენ მანჯურიის მინდვრებზედ არ ვანთხევთ სისხლს? განა ჩვენ არ ვასაზრდოებთ სახელმწიფოს ხაზინას, მისს ორმილლიარდის ბიუჯეტს, მაშინ, როდესაც ჩვენ შიმშილით ვიხოცებით? განა ჩვენ კისერს არ აწევს ფინანსიურ პოლიტიკის ყველა შედეგი?—და ამ ჩვენის ერთგულობის, ჩვენის გაჭირვების მიუხედავად, ჩვენ ყოველ ნაბიჯზედ გვაცლიდნენ ხელიდგან იმ პატარა კეთილდღეობასაც-კი, რომელიც ჩვენ მოგვცა მე-60 წლების რეფორმებმა. ჩვენ წაგვართვეს დამოუკიდებელი სასამართლო, თავისუფლება სინიდისისა, წაგვართვეს ყოველი გარანტია პიროვნების ხელშეუხებლობისა, თვით-მმართველობა, შეეხნენ ჩვენს ოჯახებს, სკოლებს; რუსეთის საზოგადოება დაამცირეს არ მისცეს მას ნება თავისი გაჭირვებანი თავისუფლად ეღიარებინა, რუსი-კაცი გახადეს სახელმწიფო ხაზინის ცოცხალ ქონებად და ბიუროკრატიულ თვით-ნებობის საგნად. ჩვენ სწორე გზაზედ-კი არ მივყავდით, არამედ აზიის გაუვალ გზებზედ, და მივაღწიეთ ეგრედ წოდებულ კეთილდღეობას, რომლისთვისაც ურიცხვთა სიცოცხლე მსხვერპლად იწირებოდა. ჩვენ აზრებსა და სინიდისს თავის ნებაზედ ატრიალებდნენ. თითქოს ამაზედ უფრო შორს წასვლა შეუძლებელი იყო; მაგრამ ბიუროკრატიამ ესეც არ იკმარა. დასჭირდა ხალხის სისხლი, მისი უკანასკნელი ამოსუნთქვა. გამოაცხადა ომი, მაგრამ ეს უკანასკნელი ხერხიც გაუტრუვდათ და ამით გამომჟღავნდა გაკოტრება ბიუროკრატიულის წეს-წყობილებისა, და როდესაც შორეულ აღმოსავლეთის გულის შემზარავმა ამბებმა ბრწყინვალე სხივით გაანათა ის უფსკრული, რომელშიაც ჩავვარდით, მაშინ დავინახეთ ჩვენი საზარელი მდგომარეობა. მე არ შევეხები იმ ღონისძიებათ, რომელიც უნდა ვიღონოთ, რომ გამოვიდეთ ეხლანდელ მდგომარეობიდგან. ეს საქმე მეტად რთულია და უნდა გაირჩეს კომისიაში, რომელიც, ჩემის აზრით, საერობო კრებამ უნდა აირჩიოს. მე მხოლოდ ვიტყვი ორიოდე სიტყვას იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელიც ეხლა დასახელებული არის კრიზისის მოსასპობლად. 12 ქრისტეშობისთვეს 1904 წელს გამოიცა დიდ მნიშვნელოვანი ბრძანება—შესახებ ბიუროკრატიზმის თვით-მოსპობისა. ბრძანება ურჩევს მას, თავისი სამარე თვითონვე გათხაროს, რადგანაც მხოლოდ ბიუროკრატიზმის დადუპვას შეუძლიან რუსეთის ცხოვრების განახლება. მაგრამ გაბატონებულმა ბიუროკრატიზმმა უძლურება გამოიჩინა და ამ მსხვერპლის მოტანა ვერ შესძლო. მინისტრთა კომიტეტის შრომამ უწინდებურად ძველ გზაზედ გაიარა. გასაკვირველი არ არის, რომ ამას არ შეეძლო საზოგადოების დამშვიდება. კრიზისი-კი არ შესუსტა, უფრო დაგვიახლოვა ის უფსკრული, რომლის ნაპირზედაც ვდგევართ ამ ჟამად. საზოგადოების მოძრაობის ჩაქრობა აღარ შეიძლება, ის დიდ ტალღებივით გაიფანტა და წალეკა ყველა გზები. ნათლად წარმოდგენილ ახალ წესწყობილების მოთხოვნილების აზრის შეჩერება არ შეუძლიან არც შუბსა და არც ტყვიას. მხოლოდ ხალხისაგან თავისუფლად არჩეული წარმომადგენლები, რომელნიც კანონმდებლობასა და მართვა-გამგეობაში მონაწილეობას მიიღებენ, შესძლებენ აღელვებულ საზოგადოების დამშვიდებას.

როგორც საზოგადოდ ცნობილია, ყოველ იდეას აქვს სამი ფაზისი: აზრი, სიტყვა და საქმე. ჩვენის სამშობლოს სახელმწიფოს განახლების იდეამ ორი საფეხური უკვე გაიარა. ამის შესახებ აზრი ჩვენის საუკეთესო მამულიშვილების თავში ტრიალებდა, მერე დაიბადა და გამოიდო ნაყოფი—სიტყვა. სიტყვა „ახალი ცხოვრება“ გაისმა მთელს რუსეთში; რჩება ყველაზედ უმთავრესი—საქმე.

ეხლა ჩვენის თავის დაცვაა საჭირო. ჩვენ გვაწევს მოვალეობა დავამტკიცოთ, რომ საზოგადოება მზად არის სამარად და პირველსავე მოწოდებაზედ შეუდგება საქმესაც.

„ივერიის“ ფოსტა

ქუთაისში. ბ-ნ სვ.—სას. „ცხოვრება“ მზადაა და მოიკითხეთ. გამოგვიგზავნეთ შემდეგი წერილებიც.

კახეთი. ქ. ალაზნ—ელს. თქვენი უკანასკნელი კორესპონდენციები არ დაიბეჭდება. „ისტორიულ-გეოგრაფიულ-ტოპოგრაფიული“ აღწერა სოფლებისა არავისთვის საინტერესო არაა. ჩვენ გვეპირვება ცოცხალი ფაქტები და მხოლოდ ფაქტები. არ დაგვემდუროთ, ნუ დაგვივიწყებთ.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 თებერვალი.

პეტერბურგი. გენერალ ად. კუროპატკინის დეპეშა ხელმწიფის სახელობაზე, 3 თებერვლის თარიღით: „მივიღეთ თუ არა ცნობა, რომ მონგოლიაში, გუნჯულინ-კუანჩენძის მიდამოებში, რკინის გზებზე დასაცემად იაპონელთა წინამძღოლობით დიდძალი ბრბო ხუნხუზებისა მოგროვილა, მაშინვე ფანძიატუნის სადგურიდან 29 იანვარს გავგზავნეთ დასაზვერად საზღვრის დარაჯთა რაზმი როტმისტრის ლენიცკის უფროსობით. 30 იანვარს ლენიცკის აცნობეს, რომ ხანძიტუნის ახლო ხიდს დაეცნენო. ლენიცკიმ მაშინვე გზა გადაუჭრა მტერს, იერიში მიიტანა და განდევნა. ლენიცკი თავის რაზმით ფეხ-და-ფეხ მისდევდა გაქცეულ მტერს და ამ დროს გუჯულინიდან 120 ვერსის დაშორებით ჩრდილო-აღმოსავლეთით ლენიცკი მტრის დიდ ძალას წააწყდა, რომელიც შესდგებოდა ოთხის როტისა და ექვსის ესკადრონისაგან და 2,000-ზე მეტ ხუნხუზებისაგან. ყველა მხრიდან შემორტყმულმა ჩვენმა რაზმმა ხელ-ჩართულმა ბრძოლით გაიკაფა უკან გზა და გუნჯულინის სადგურისკენ დაიხია, სადაც ჩვენი რაზმი 2 თებერვალს მიიდო“.

გენ. სახაროვის დეპეშა მთავარ შტაბს, 5 თებერვლის თარიღით: „მთავარ-სარდალმა მიიღო დაწერილებითი მოხსენება გენერალ ჩიჩაგოვისა ლენიცკის ჯარის უკან დახევის შესახებ. 1 თებერვლის ბრძოლის შემდეგ ლენიცკის რაზმში მყოფმა როტმისტრმა ბოიარინოვმა ბრძანება მიიღო, შეაჩეროს მტრის წინ წამოსვლა და მით შეაძლებინოს ჩვენს არტილერიას უკან დაბრუნება, მაგრამ საღამოს ცხრა საათზე 1 თებერვალს მტერმა გზა გადაუჭრა და სოფ. ინძიტუნთან ჩ ლენიცკის რაზმისაგან მოსწყვიტა ბოიარინოვი; ბოიარინოვს რაზმში ჰყავდა სულ 90 კაცი და გარს შემოერტყა მტრის ექვსი ესკადრონი და ათასი ქვეითა ჯარი. როტმისტრმა ბოიარინოვმა უბძანა თავის რაზს ცხენებიდან ჩამოხტომა და ქვეითად შეუტია მტერს და შეაჩერა იაპონელთა წინსვლა, მაგრამ როდესაც იაპონელთა ორმა ესკადრონმა მის წინ გამოიღაშქრა, ბოიარინოვმა მაშინვე რაზმი ისევ აამხედრა და 150 ნაბიჯის მანძილზე ცხენ-და-ცხენ იერიში მიიტანა მტრის მარცხნივ წინა ესკადრონზე და სულ მთლად აჩეხა და თვალით აყურებინა მტრის მეორე ესკადრონსა და მათ მაშველად მოსულს ქვეითა ჯარს, რომელნიც არაფრით არ დაეხმარნენ თავიანთ ამხანაგებს და მხოლოდ „ურას“ და „ბაზაის“ იძახოდნენ. ამის შემდეგ ბოიარინოვმა უკან დაიხია 400 ნაბიჯის მანძილზე და რაზმის ერთი ნაწილი ისევ დაქვეითდა. რამდენჯერმე ერთბაშად თოფის სროლა ასტეხა და გზისკენ ნელ-ნელა უკან დაიხია. თან წამოიღო: მძიმედ მუცელში დაჭრილი შტაბ-როტმისტრი კოლესნიკოვი, 24 დაჭრილი და 3 მოკლული ჯარის კაცი. ამ დროს მტერს მაინც სროლა არ შეუწყვეტია. რადგანაც რაზმში რამდენსამე კაცს ცხენი მოუკლეს და ქვეითად მოდიოდნენ, ამიტომ ბოიარინოვმა დანარჩენებიც ჩამოსხა ცხენიდან და ქვეითად დაიხია მძიმე ნაბიჯით. ამ დროს ჩვენი ჯარის კაცები იჭერდნენ იაპონელთა ცხენებს, რომელნიც მათ გარშემო უმხედროდ დარბოდნენ. მტერმა ოც ვერსზედ მეტი სდია ჩვენს რაზმს. როტმისტრი ბოიარინოვი თან მტერს ესროდა, თან უკან-უკან იხევდა და ამ გვარად სამ თებერვალს მოატანა სადგურს ფანძიატუნს და თან მოიტანა გვამი კოლესნიკოვისა, რომელიც ჭრილობისაგან გზაში მოუკვდა, და ის 24 დაჭრილი და 3 მოკლული ჯარის კაცებიც მოიყვანა. ამგვარად, როტმისტრმა ბოიარინოვმა ნელის იერიშითა და მამაცურის საქმით მთავარი ძალა მტრისა თავისკენ მიიზიდა და ყველა მხრიდან შემორტყმულ მძლავრ მტერს შეებრძოლა, გზა ბრძოლით გაიკაფა და დაჭრილი და მოკლული ამხანაგებიც მტერს არ დაანება.

ყაზანი. ხელოსანთა საზოგადოებამ დეპეშა გაუგზავნა კუროპატკინს და სთხოვა აცნობოს რუსის ჯარს, რომ ჯერ არ გამოლეულან რუსეთში დიდებულ ხელმწიფის ჭეშმარიტნი ქვეშევრდომნი და სამშობლოს ერთგულნი შვილნი, რომელთაც სულითა და გულითა უყვართ ომში მყოფნი თავისი შვილები და ძმები, მხიარულობენ მათის მხიარულობით და იტანჯებიან მათის ტანჯვით. ხელოსანთა საზოგადოებამ კუროპატკინის პასუხი მიიღო, რომლითაც მადლობას უცხადებს.

ტოკიო. 4 თებერვალი. ამ ჟამად არა გამოვა-რა შუამავლობითა და ზავის ჩამოგდებაზე ლაპარაკით, რადგანაც იაპონია, უეჭველია, არ გამოამჟღავნებს თავის გულის პასუხს. თუ რომ რუსეთი საგანგებოდ რწმუნებულ შუა კაცით იმდენათ დაუახლოვდება იაპონიას, მხოლოდ მაშინ შეიძლება გამოსთქვას იაპონიამ თავისი აზრი ზავის შესახებ.

ტოკიო, 5 თებერვალი. ოფიციალური. რუსები განაგრძობდნენ ზარბაზნების სროლას ხუთშაბათსა და პარასკევ ღამეს. სუნიანფანში დიდ-ძალი რუსის ცხენოსანი ჯარი დგას. ტამუშაოს ახლო რუსები სრულებით არა სჩანან.

ოკუს ლაშქარი. (ფუზანით). (რეიტერი)- 4 თებერვალს რუსის ჯარმა, 15 ათას ცხენოსნით, 500 ქვეითითა და 20 ზარბაზნით, ლიაოხეს გზით სამხრეთისკენ წამოსულმა, ახლა ხუთშაბათიდან დაიწყო უკან დახევა ჩრდილოეთისკენ. ახლა ეს ჯარი ლიაოხედან სამის მილის მანძილზედ სდგას, შაოპოხეს დასავლეთ-ჩრდილოეთით. იაპონელები დაედევნენ უკან დახეულ რუსის ჯარს და ზარალიც მიაყენეს. ოკუს ფრონტზე სიწყნარეა.

ტოკიო, 5 თებერვალი. (რეიტერი). შახეზე რუსები ძლიერ მოქმედებენ, ორთავე ფრთას შორის სწევენ, მარჯვენა ფრთას ამაგრებენ და ამავე დროს დიდძალ ჯარს აგროვებენ მარცხენა ფრთაზე კუროკის წინააღმდეგ, სადაც რუსის ჯარს უკვე ექვს დივიზიამდე სთვლიან.

შანჰაი, 5 თებერვალი. ჩიფუში დაწყებული გამოძიება საფრანგეთის იტაშეს კუვიერვილის მოკვლის თაობაზე, რომელიც, როგორც ჩინელებმა განაცხადეს, ზღვაში გადაუგდიათ, ჯერ არ გათავებულა.

ტოკიო, 5 თებერვალი. (რეიტერი). 3 და 4 თებერვალს რუსები ესროდნენ ოიამას ზოგიერთა პოზიციებს ცენტრში და მარცხენა ფრთას. რუსის ცხენოსანი ჯარი ოიამაზე მიტანილი იერიშის შემდეგ ლიჩინვანთან გაჩერდა.

სახეტუნი, 5 თებერვალი. მარცხენა ფრთის განაპირად უფრო ხშირად ჰხდება იაპონელებთან შეტაკება. სოფელი გოადიანზი ისევ იაპონელებმა აიღეს. ყინვა 10 გრადუსამდეა. იაპონელთა ცენტრში სადგურ შახესთან გაცხარებით მუშაობენ, შენობებს ანგრევენ, ხოუტხაიზე ზარბაზნებსა სდგამენ და ჩვენის პოზიციების წინ ჯარს ასწავლიან.

6 თებერვალი.

ხუანშანი, 5 თებერვალი, ნაშუადღევის 1 საათი. 3 თებერვალს ლაშქრის ფრონტზედ იყო იშვიათი თოფის სროლა. 30 იანვარს სოფელ ლიანხუეძისთან, ერდაგოუს ახლოს, ხუნხუზების ბრბო დაეცა საინტენდანტო რაზმს, რომელსაც შეადგენდა ექვსი კაცი. ასტყდა თოფის სროლა, რომლის შემდეგაც ხუნხუზები გაიქცნენ. ორი ჩაგვივარდა ტყვედ და აგრეთვე დაგვრჩა გაქცეულთა და მოკლულთა იარაღი. ჩვენ დაგვიჭრეს ერთი ჯარის კაცი და მოგვიკლეს თარჯიმანი.

ტოკიო, 5 თებერვალი. (რეიტერი). გარეშე საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ ის ხმა, ვითომც იაპონიას შეატყო-

ბინეს არა-ოფიციალურად ის პირობები, რომლითაც რუსის მთავრობა თანახმაა ჩამოაგდოს ზავი, სიმართლეს მოკლებულია.

სახეტუნი, 6 თებერვალი. 3 თებერვალს, საღამოს 5 საათზე, მტრის მოწინავე რაზმი მიუახლოვდა ჩვენს სადარაჯო ადგილებს, მაგრამ უკუ-ვაქციეთ. ჩვენ ვესროდით ლინშინპუსთან იმ ადგილს, საცა მტერი თხრილებს აკეთებდა. იაპონელები წყლის საქაჩავს შახეს სადგურთან ანგრევენ.

სტამბოლი, 6 თებერვალი. გუშინ, ღამის 11 საათზედ, მოვიდა გემი „წმ. ნიკოლოოზი", რომელმაც მოიყვანა სტესსელი და პორტ-არტურელები. სტესსელს მიეგებნენ რუსის ელჩის მაგიერ საელჩოს მოხელენი, საზღვაო და სამხედრო აგენტები. რუსთა ახალშენმა ერთი კალათი ყვავილები მიართვა. აფიცრები გემზედ ყველანი ჯანმთრელად არიან. დღეს სტესსელი ელჩს ინახულებს და ხვალ თეოდოსიისაკენ გაემგზავრება.

პეტერბურგი. დღეს, ნაშადღევის 2 საათზე, ცარსკოე სელოში, ალექსანდრეს სასახლეში, ხელმწიფე იმპერატორის, დედოფლისა და სამეფო სახლეულობის წევრთა თანადასწრებით, პანაშვიდი იქმნა გარდახდილი დიდის მთავრის სერგეი ალექსანდრეს ძის სულის საოხად. მეორე პანაშვიდი გარდახდილ იქმნა პეტერბურგში, ისააკის ტაძარში, სახელმწიფოს მაღალ ხარისხოვან წარჩინებულ მოხელეთა, დიპლომატიურ კორპუსის წარმომადგენლთა, გენერალთა, სასახლის მოხელეთა და მანდილოსანთა თანდასწრებით.

პარიჟი. ლუბემ გაიგო თუ არა დიდის მთარვის მოკვლის ამბავი, იმ წამსვე გაუგზავნა დეპეშები ხელმწიფე იმპერატორსა და დიდს მთავრინას ელისაბედ თეოდორეს ასულს, მიუსამძიმრა და მხურვალე თანაგრძნობა გამოუცხადა.

ლონდონი. ირლანდიელთა ერთშა წინამძღოლთაგანმა, ირლანდიელმა დევიტმა, გამოაქვეყნა თავისი ბაასი, რომელიც ჰქონია განსვენებულ დიდ მთავარ სერგეი ალექსანდრეს ძესთან ამ რამდენისამე კვირის წინად კრემლში. დევიტი ამბობს: „ამ ბაასიდან მე იმგვარი შთაბეჭდილება გამოვიტანე, რომ დიდ მთავარს თითონ ჰქონდა არა მკაცრობისა და სასტიკობის უნარი და თანაც საინტერესოდ მიაჩნდა მოსკოვის მუშათა სოციალურ ვითარებათა გაუმჯობესება. ამ მკვლელობამ ჩაფუშა დიდის მთავრის-მიერ მოწადინებული კეთილი საქმე და თანაც, უეჭველია, სასტიკს ღონისძიებებს გამოიწვევს. რეფორმები შესაძლოა ხალხის აღზრდის დროს, მკვლელობა კი აჩერებს ყოველ პროგრესს".

ლონდონი. უმაღლესი ოფიციალური წრეებიც სრულებით ეთანხმებიან „ტაიმ"-ის აზრს: ზნეობრივი განკიცხვა-და ის ზიზღი, რომლითაც მთელი განათლებული კაცობრიობა უყურებს კაცის მკვლელობას, როგორიც არის დიდის მთავრის სერგი ალექსანდრეს ძის მკვლელობა, არ შეიძლება გაამართლოს კაცმა რაიმე სხვა მოსაზრებითაო.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა: მავნე მიმართულებისა გამო გამოეცხადოთ გაზეთებს „ნაში დნი"-სა და „ნაშა ჟიზნ"-ს მესამე გაფრთხილება და შეჩერდეს ამათი გამოცემა სამის თვის ვადით.

უმაღლესად ებრძანა პეტერბურგის სამხედრო ოლქის გვარდიას, მისის უმაღლესობის დიდის მთავრის სერგი ალექსანდრეს ძის გარდაცვალება იგლოვონ სამი თვე.

მოსკოვი, 5 თებერვალი. ჩუდოვის მონასტერში არქიელმა გადიხადა პანაშვიდი, რომელზედაც დაესწრნენ: დიდის მთავრის მეუღლე ელისაბედ თეოდორეს ასული, დიდნი მთავარნი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე და დიმიტრი პავლეს ძე და აგრეთვე მოსკოვის უმაღლესი მოხელენი მთავრობისა. გარდაცვალებულის დიდის მთავრის გვამი ჩასვენებულია ოქროთი დაფერილ მუხის კუბოში, კუბოს თავთან წინსახური ცოტათი ახდილია და დოლბანდის ქვეშიდან მოსჩანს მუნდირი. კუბო სდგას ბალდახინზედ ტროპიკულ მწვანე ხეებს შუა, გარს არტყიან საპატიო დარაჯნი. მიცვალებულს გულზე ასვენია ხატი, რომელსაც ხალხი ემთხვევა.

ბერლინი, 5 თებერვალი. იმპერატორი ვილჰელმი სადარბაზოდ იყო გრაფ ოსტენ-საკენთან, სადაც $^3/_4$ საათი დაჰყო.

სოფია. დიდის მთავრის მოკვლამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აფიცერთა და ხალხს შორის. მთავრის ბრძანებით, ბულგარიის უმთავრესს ქალაქებში პანაშვიდები იქმნება გარდახდილი. ყველა აღელვებულია ბოროტ-მოქმედთა წინააღმდეგ. ეს ბოროტ-მოქმედნი გაჭირვებაში აგდებენ რუსეთს, ხელს უშლიან მისს დიად დანიშნულებას და ასუსტებენ რუსეთის გავლენას საერთაშორისო საკითხებში. მთავარის ბრძანებით, სასახლეში 10 დღეს იგლოვებენ. სამხედრო მინისტრმა განკარგულება მოახდინა, დიდ ქალაქებში პანაშვიდები გადაიხადონ.

ყაზანი. ორივე აქაური გაზეთი ხელახლა გამოდის. სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში მოსამსახურეებმა, რიცხვით 325 ნოქარმა, არ მოისურვეს უკანონოდ მოქცევა და ამიტომ „ვოლჟ. ლისტ."-ის საშუალებით დაწესებულებათა პატრონებს თხოვნით მიჰმართეს,— კვირა-უქმეებში ნუ ივაჭრებთ და შეამცირეთ სამუშაო საათებიო.

თეოდოსია. დღეს თათბირი ჰქონდათ საბჭოს ხმოსნებს. მოილაპარაკეს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მიეგებნენ და პატივი სცენ რუსეთში დაბრუნებულ პორტ-არტურელებს, გენერალ სტესსელსა და სხვებს, თუ ვინიცობაა თეოდოსიაში მოვიდნენ. დღემდე არავითარი ოფიციალური ცნობა და განკარგულება არა ყოფილა.

მელიტოპოლი. ქალაქის თვით-მმართველობამ შუამდგომლობა აღძრა და თხოულობს დონეც-შავის ზღვის რკინის გზის გაყვანას მელიტოპოლზე და არა რეიხენფელდ-სკადოვსკზე, რადგან ამ უკანასკნელ შემთხვევაში მელიტოპოლის სავაჭრო და ეკონომიური მნიშვნელობა სრულიად დაეცემა.

პარიჟი, 5 თებერვალი. მოვიდა სტამბოლში მყოფი საფრანგეთის ელჩი კონსტანი.—დელკასემ მიანდო ბომპარს გადასცეს რუსეთის მთავრობას საფრანგეთის სახელით სამძიმარი და ულრმესი თანაგრძნობა.

ლონდონი, 5 თებერვალი. (საკუთ. კორ.). ლორდმა გლენბორომ წინადადება შეიტანა პარლამენტში, მზად იყოლიონ ზღვისა და ხმელეთის ჯარი იმ შემთხვევისათვის, თუ ვინიცობაა უეცრად დაგვეცეს ერთი პირველ ხარისხის სახელმწიფოო.

ვლადივოსტოკი. უკანასკნელ ხანებში ცეცხლი ხშირად ეკიდება სახლებს. მხედრობა კარგად მუშაობს და შესანიშნავად არის მოწყობილი.

ლონდონი, 5 თებერვალი. (საკ. კ.) მტკიცდება ის ხმა, რომ ლორდს მილნერს ჩქარა გამოსცვლის ლორდი ბალფური სამხრეთ-აფრიკაში. ამაში ჰხედავენ უმაღლესს თაოსნობას ოპოზიციის გულის მოსაგებად.

უმაღლესმა ბრძანებამ აქ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა და ყველა გაზეთები თავის დასკვნას უძღვნიან. მეტი ნაწილი იმ აზრისაა, რომ ვერავითარი ბოროტმოქმედება ვერ შეაჩერებს ერთხელ და სამუდამოდ მტკიცეთ განზრახულ ცვლილებათა შემოღებას სახელმწიფო მართვა-გამგეობაში. საზოგადოების მტერნი აღელვებულნი არიან ხალხის ლტოლვილებით, რომელსაც სურს სამეფო ტახტს დაუახლოვდეს.

შესდგა მიტინგი მერილბოზე და გამოაცოცხლა გახუნებული ენტუზიაზმი იმპერიალიზმისა. ჰერცოგმა ფაიფმა გამოსთქვა ინგლისელთა სიხარული, რომ ინგლისელები ეხლა მოქალაქენი არიან პატარა კუნძულისა კი არა, არამედ უზარმაზარ მსოფლიო იმპერიისა, რომლის მსგავსიც ჯერ არ გაგონილაო. იმპერია უნდა იყოს დაკავშირებული ურთიერთობით, საზოგადო ვაჭრობითა და მტრის საპასუხოდ მომზადებული.

პარიჟი. დიდის მთავრის დაკრძალვის დღეს რუსთა ეკკლესიაში წირვა და პანაშვიდი იქმნება, რომელსაც დაესწრება ლუბე, ყველა მინისტრები და დიპლომატიური კორპუსი დიდი ჰერცოგინია საქსენ-კობურგ-ჰოტისა, პრინცესას ბეატრისითურთ, ლონდონიდან მოსკოვს გაემგზავრა. დიდის მთავრის მკვლელობამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ვატიკანზე. პაპმ გაუგზავნა ხელმწიფე იმპერატორს დიდი დეპეშა, რომელშიაც აცხადებს თავისს ღრმა მწუხარებას. ბევრმა კარდინალმა დასტოვა სადარბაზო ბარათი ვატიკანის რუსის საელჩოში.

6 თებერვალი.

პეტერბურგი. ოფიციალურად. მინისტრთა კომიტეტის ჟურნალიდან 31 დეკემბრის 1004 წლისა და 4 და 25 იანვრის 1905 წლის თარიღით 12 დეკემბრის 1904 წლის უმაღლესის ბრძანების მეორე მუხლის შესრულების წესის შესახებ. დებულება, უმაღლესად დამტკიცებული 4 თებერვალს. კომიტეტის აზრით: 1) განზრახვანი 12 დეკემბრის 1904 წლის უმაღლესის ბრძანების მე-2 მუხლისა—ადგილობრივ საქმეთა მართვა-გამგეობის გაუმჯობესობის შესახებ—უნდა შემუშავებულ იქმნას საერობო და საქალაქო დაწესებულებათა მონაწილეობით; 2) ამ განზრახვის ასრულება, აგრეთვე შემუშავება საერობო და საქალაქო დებულებათა ახალის პროექტებისა უნდა მიენდოს ორ განსაკუთრებულ საბჭოს, შეკრებილს პეტერბურგში უმაღლესად დანიშნულ კაცის თავმჯდომარეობით, რომელთა წევრები შესდგებიან: 1) იმათგან, რომელნიც დანიშნულ იქმნებიან სხვა-და-სხვა უწყებათა მთავარ-უფროსებისაგან და 2) იმათგან, რომელნიც ამორჩეულ იქმნებიან საერობო და საქალაქო დაწესებულებათა მიერ; 3) ხსენებულ საბჭოთა თავმჯდომარეებს ნება უნდა ქონდესთ, თუ საჭირო იქმნა, ეს საბჭონი ერთ კრებად შეაერთონ. 3) წინადადება უნდა მიეცეს ამ საბჭოებს გაარჩიონ და განიხილონ შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ წარდგენილი მასალა იმ წესითა და რიგით, როგორც თავმჯდომარე მოისურვებს, და საბჭოებზედ შემუშავებული პროექტები საერობო და საქალაქო დებულებათა უნდა გადაეცეს პირდაპირ სახელმწიფო საბჭოს სხვა-და-სხვა უწყებათა დაუკითხავად; 4) საერობო და საქალაქო დაწესებულებათა მიერ საბჭოებისათვის წევრების ამორჩევის შესახებ (მუხლი 2) შემდეგი წესი უნდა იყოს დაცული: იმ გუბერნიებში, სადაც საერობო დაწესებულებანი შემოღებულია, თითო გუბერნიაში ორ-ორი კაცი უნდა იქმნეს არჩეული, ამასთანავე, ერთი წევრი უნდა იქმნეს არჩეული საგუბერნიო საერობო კრების მიერ. ამ კრების წევრთა შორის, იმათ გარდა, რომელნიც მთავრობისაგან იქმნებიან დანიშნულნი და არჩეულნი, მეორე კი ამ წესით უნდა იქმნეს არჩეული: თვითოეულმა სამაზრო საერობო კრებამ უნდა აარჩიოს თავის წევრთა შორის თითო კანდიდატი, გარდა მთავრობის მიერ არჩეულ კაცთა,— შემდეგ ამ კანდიდატებმა უნდა აარჩიონ თავის შორის მეორე წევრი საბჭოსი. ქალაქებში, სადაც შემოღებულია საქალაქო დებულება 1892 წლისა, ამათ შორის პეტერბურგშიაც, და სადაც 1897 წლის 28 იანვრის აღწერით მცხოვრებთა რიცხვი 50,000-ს აღემატება, აგრეთვე ხუთ ქალაქში, სადაც მარტივი, შემოკლებული მართვა-გამგეობა სუფევს და რომელთა შესახებაც საბჭოს თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი შეთანხმდებიან, თვითო ქალაქს ნება ექმნება აირჩიოს რჩევისათვის ერთი წევრი, გარდა იმ კაცთა, რომელნიც დანიშნულნი იქმნებიან მთავრობისაგან; 5) შინაგან საქმეთა მინისტრმა უნდა წარუდგინოს საბჭოებს განსახილველად მასალა (მუხლი 3) და, როდესაც გამოცემულ იქმნება ახალი დებულება საერობო დაწესებულებათა, მაშინვე უნდა განიხილოს საკითხი, შეიძლება თუ არა ამ დებულების შემოღება ჩრდილო და დასავლეთ-სამხრეთის მხრის 9 გუბერნიაში და წარადგინოს ამის შესახებ აზრი სახელმწიფო საბჭოში. 6) უნდა მიეცეს მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს ნება წარუდგინოს თავისი აზრი სამიწათ-მოქმედო საბჭოს დებულების შეცვლის შესახებ სახელმწიფო საბჭოში სხვა-და-სხვა უწყებათა დაუკითხავად.

მოსკოვი, 6 თებერვალი. დიდის მთავრის სერგი ალექსანდრეს ძის კუბოსთან მრავალჯერ იქმნა გადახდილი პანაშვიდი. იქ, სადაც დიდი მთავარი გარდაიცვალა, დადგეს ლითონის ჯვარი. გენერალ-გუბერნატორის სასახლეზე ამართულია სამგლოვიარო ბაირაღი.

ტოკიო, 6 თებერვალი. ოფიციალური დეპეშა იუწყება, რომ რუსები ესვრიან იაპონელების ფრონტს. 4 თებერვალს რუსთა ორმა ქვეითა რაზმმა იერიში მიიტანა ლიუკუზე, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ. რუსები ყველგან თავის პოზიციებს ამაგრებენ.

ღამის დეპეშები.

7 თებერვალი.

პეტერბურგი. ოფიციალურად. შორეულ აღმოსავლეთიდან 6 თებერვალს ცნობები არ მოსულა.—გამოცხადდა მუშათა უკმაყოფილების გამოსაკვლევად უმაღლესად დაფუძნებულის კომისიის თავმჯდომარისაგან წესები, თუ როგორ უნდა ამოირჩიონ წარმომადგენელნი მრეწველობისა და მუშებისა კომისიისათვის. არჩევნების ნება ეძლევათ ყველა პატრონებს სამრეწველო ქარხნებისას, ვისაც ას მუშაზე ნაკლები არა ჰყავს. მეპატრონეთა საზოგადო კრებას ნება ეძლევა ამოირჩიოს კომისიაში 15 წარმომადგენელი. არჩევნებზე დასწრების უფლება ორივე სქესის მუშებს ეძლევათ ყველა იმ სამრეწველო ქარხნებისას; რომელსაც ას მუშაზე ნაკლები არა ჰყავს. ხელოსნებს, იმათ თანაშემწეებს და შეგირდებს არჩევნებზე დასწრების უფლება არა აქვთ. ჯერ სათითაო სამრეწველოს მუშები ირჩევენ თავის წრიდან ამომრჩევლებს იმდენს, რამდენიც დაწესებულია; მერე ესენი ირჩევენ წარმომადგენლებს. ის ქარხნები, რომელთაც ჰყავთ 100—500 მუშამდე ირჩევენ ერთს ამომრჩეველს; სადაც 1000 მეტია 500 კაცზე ერთს ირჩევენ. სათანადო წესრიგის დაცვა არჩევნების დროს თვით მუშებს ევალებათ. ამისათვის იმათ ნება აქვთ აირჩიონ ერთი ანუ რამდენიმე წარმომადგენელი. ის პირნი, რომელნიც ეკუთვნიან ფაბრიკის და ქარხნის ადმინისტრაციის არჩევნებზე ვერ დაესწრებიან. კომისიის თავმჯდომარე დაარწმუნებს იმას, რომ გულახდილი და საქმიანი მსჯელობისათვის არც ერთი წარმომადგენელი მუშებისა განდევნილი არ იქნება.

შანჰაი. 15 ათასი რუსი ქვეითა ჯარი და 500 ყაზახი 65 ზარბაზნით სინმინტინთან არიან ნეიტრალურ ტერიტორიაზე. ჩინელებმა მოითხოვეს ჯარების გაყვანა, მაგრამ ყურადღება არ ათხოვეს.—იუწყებიან, რუსები მოვიდნენ ჩინელების ტელეგრაფის კანტორაში, მუკდენში, წაართვეს აპარატი და საბუთის ქაღალდები და დაიჭირეს ათი ტელეგრაფისტი.

ლონდონი. იაპონიის წყაროებიდან იუწყებიან, რუსები ძალიან ისვრიან ზარბაზნებს და ამით ჰფარავენ წინ წასვლას კუროკას ლაშქრის შემოსავლელადაო. ეს ამბავი გამოიწვევს დიდს ბრძოლასაო ასი ვერსის მანძილზეო.

ნიუ-იორკი. იაპონიის მთავრობამ ფილადელფიის შეუკვეთა 150 ორთქლ-მავალი, რომელიც 60 დღეში უნდა ჩააბაროს.

ტოკიო. დიდის ამბით დაასაფლავეს გენერალ მაცუმარას ცხედარი. გენ მაცუმარამ თავი ისახელა 203 მეტრის სიმაღლე გორაკის აღების დროს. დასაფლავებას ინგლისისა და გერმანიის ელჩებიც დაესწრნენ.

პარიჟი. პრესას მოჰყავს რუსის მეზღვაურ-აფიცერთა საუბრის აზრი და ის დასკვნა გამოჰყავს, რომ რუსების გენერლებსა და ადმირალებს შორის პორტ-არტურში დიდი უთანხმოება ყოფილა, რაიცა საქმესა ჰვნებდა. მათის აზრით, ტოგო ნელსო არაა და 40 ნაღმოსნებით მას შეეძლო უფრო გაენადგურებინა რუსების ნაღმოსნები, რომელთა რიცხვიც სულ 15-მდე იყო. პორტ-არტურმა თუ ისე დიდხანს გასძლო, ეს მოჰხდა ადმირალ თავ. უხტომსკის ბრძანების წყალობით, რომელმაც წყნარ-ოკეანეს ფლოტი ისევ პორტ-არტურს დააბრუნა. ასე გონივრულად რომ არ მოქცეულიყო თავ. უხტომსკი, პორტ-არტური აგვისტოშივე დაემხობოდა. რუსების მიერ ზღვაზედ ყოველსვის ომის წაგების უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ ზოგი გემი ნელა მიხოზინობს, ზოგი ჩქარა და, გარდა ამისა, გემებიდგან 100 ზარბაზანიც გადმოიღე ციხის საჭიროებისათვის. ბოლოს დროს გემებზედ აღარ იყო ყუმბარები, რადგანაც გენერალმა კონდრატენკომ წაიღო ყველა ხმელეთის სიმაგრისათვის.

პეტერბურგი. გენ. კუროპატკინის დეპეშები ხელმწიფისადმი: 1) 5 თებერვლის თარიღით: „3 თებერვალს მტერმა სროლა აგვიტეხა ჩჟანტანხონანთან მდებარე თხრილებთან. მტერი ჩინურ ქოხების სახურავებიდგან გვესროდა. ჩვენც სროლა აუტეხეთ და ვაიძულეთ მტერი ფრთები დაეცალა. დაგვიჭრეს კაპიტანი ივანოვი და შტაბს-კაპიტანი ონიხნევსკი". 2) 6 თებერვლის თარიღით: „ცინხენჩენიდგან 15 ვერსის მანძილზედ, უღელტეხილთან, ერთ-ერთის რაზმის წინააღმდეგ, სოფ. უიძი უიძის [illegible] მტერმა 6 თებერვალს 4 ზარბაზანი დასდგა და დაგვიწყო სროლა უღელტეხილზედ, რომელიც ჩვენ გვეჭირა. სხვა ცნობები ა მოსულა".

დროებით რედაქტორი გრ ყიფშიძე
გამომცემელი ა. სარაჯიშვილი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
ამ წლის 15 ოკდომბრიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდგან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბ თობით) ნაშუადღევის 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ. 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა, და სამგზ. № 1 ღამის 10 ს. 22 წ. (11 ს. 22 წ.). ლის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); საქონლის სამგ № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 4 წუთ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის (6 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლო პარასკევ ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); საფო სტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 0 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 54 წ.); საქ. და სამგზ. № 17 საღამოს 11 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: საფოსტო № 4 საღამოს 4 56 წ. (5 ს. 54 წ.); სამგზავრო № 6 დილ 7 ს. 10 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დ

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევ 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 53 წ.); 2) ს ქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს. (1 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევ 2 ს. 40 წ; (3 ს, 38 წ:).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 1 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 1 ს. 15 (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 48 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღ 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 1 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.)

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავ № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სამგზავრო № 5 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრ № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 7 წ.); სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 (18ს. 18 წ.).

საავადმყოფოები.

ქალაქის სახაზინო საავადმყოფო—მიხ ილის ქუჩა, სახაზინო სახლი. ფასი საერთ ოთახში—12 მან., ცალკე ოთახში—60 მან. თვე

ქალაქის სამკურნალო—მუხრანის ქ სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა უფასოა. ღარ თათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკუ ნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებან

ავლაბრისა—კახეთის ქუჩა, სახლი ტერ- როვისა. გამგე ექიმი ი. იგიტიანცი.

კუკიისა—ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მ ქუმოვისა. ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ე გაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

თვალების სამკურნალო—კრილოვისა ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე, სახლი ლიბე მანისა, № 15 (ლიბერმანის სტამბის ზემო სა თულში). ავადმყოფთ უფასოდ აძლევენ რჩე სამკურნალოს გამგე-დირექტორის თანამდებობ აღმასრულებელ ექიმი-ქალი პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავა მყოფთათვის—უფასო, იმყოფება კოჯრის ჩაზე. ბარონ ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვ სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის ავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავ ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგ —ფასიანი, თვეში 12 მან. გამგე ექიმი ის მანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის სო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავშესაფ სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახ მელიქიანცისა.

2) დიდუბეში,—სახლი გოლდლუსტისა.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 7 февраля, 1905 г. Типографія Т-ва „ТРУДЪ", Фрейлинская № 5.